ᲘᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲔᲜᲘ

— როგორი ჭკვიანი ფრინველია! მომწონს ეი იგი... ... ...

„აბესალომ და ეთერი“

აბესალომ თაღლითაძე საგარაკო თ[illegible]რიგს დროზე შეუდგა — ცოლთან მოლაპარაკება ამ საგანზე ორი თვით ადრე დაიწყო.

მისი „ღრმა რწმენით“ ბავშვისათვის წაღვერი „მისწრება“ იყო. — შენ და ჭუჭულა წრეულს წაღვერში იქნებით. ვეცდები მეც თქვენთან ვიყო! — უთხრა მან ცოლს, რომელიც მასში რამდენიმე წელია მოსიყვარულე ქმარს აღარ ხედავდა.

— [illegible]ომ პირობით თუ შენც, ჩვენთან იქნები. მე მგონია შენ ჭუჭულას მამახარ და ჩემი ქმარი! — უსაყვედურა მას ცოლმა.

— აბა რას ამბობ თამრიკო, ეჰვაანობ, განა! აკი გითხარი, თუ მოვახერხე მეც თქვენთან ვიქნები-მეთქი!

აბესალომს, რომელსაც გული „ჩიტივით უფარფატალებია“, წრეულს ეთერთან ერთად, (მისი არა-„ოფიციალური“ ცოლი, როგორც თვითონ არწმუნებდა მას), კისლავოდსკში უნდა გაეტარებია დრო.

— მე არ ვიცი რისთვის ან ვისთვის გინდათ ამდენი აგარაკები, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, თუ თქვენ, პასუხისმგებელი პირები არ მოისვენებთ და არ იექიმებთ! — გაჯავრებული უთხრა აბესალომს ერთხელ ცოლმა.

— ოპორტუნისტულად აყენებთ საკითხს, ჩემო თამრიკო, — ხუმბროპის ქილოთი მიუგო მან ცოლს — აგარაკები ჩვენ გვინდა მშრომელი ხალხისათვის. პასუხისმგებელ პირებს კი დასვენებისათვის არ გვცალია, სოციალიზმს ვაშენებთ. დასვენებას შემდეგაც მოვესწრებით! — თაღლითურად არწმუნებდა აბესალომი ცოლს თავისი აზრის სისწორეში.

კისლავოდსკში გამგზავრების წინა ღამით აბესალომმა ცოლს წერილი მისწერა:

ძვირფასო თამრიკო ძალიან მწყინს, რომ ველარ მოვდივარ შენთან, ექიმ[illegible]ის რჩევით იძულებული ვარ წრ[illegible]ოს კისლავოდსკში ვიექიმო. გული ორივე კედრით გაფართოებულია; ნევრასტენიაც მქონია ხ[illegible] მივემგზავრები. იმედია შენ არ მოიწყენ. ბავშს მოუარე. გაკოცებ ათასჯერ.

შენი აბესალომი

საუცხ[illegible] იყო შეყვარებულთათვის საქართველოს სამხედრო გზით გამგზავრება.

კისლოვოდსკში აბესალომ და ეთერი სასტუმროში მოიწყვენ.

ჩემო ეთერ, [illegible]ომ [illegible]ვარ და გეყვარები, [illegible]ომ [illegible]ოდეს დავშორდებით ერთმანეთს? — ეკითხებოდა აბესალომი გული[illegible] ჩაკრულ ეთერს.

— ვერ დაგვაშორებს ჩვენ სიკვდილიცა, შემო სიცოცხ[illegible]! — არწმუნებდა ეთერი აბესალომს, რომელსაც ყელზე „კაშნესავით“ შემოხვეოდა.

ასეთი იყო კისლოვოდსკში მათი ტკბილი ცხოვრება.

ერთხ[illegible] [illegible]ლით აბესალომს დეპეშა მიაწოდეს.

— ნეტავ[illegible] რა მოხდა? — გაიფიქრა მან და დეპეშა წაიკითხა. თითქოს ელდა დაეცაო, გაშეშდა და ენა დაება.

ეთერმა დეპეშა ხელიდან გამოსტაცა.

მოულოდნელი და სამწუხარო ამბავი იყო — აბესალომს ტფილისში იწვევდნენ პურისა და ბამბის აკრეფის კამპანიასთან დაკავშირებით.

აბესალომ [illegible]ამ[illegible]ული“ სახით წამოდგა და სარკის წინ [illegible] სევდიანი ლოთი ლიღინი დაიწყო:

ამელამდელო ღამეო,
ნუ გათ[illegible]ები მალეო...
ეთერო, [illegible]ელში ჩაგიკრავ,
ეთერო გენაცვალეო..
პურსა და ბამბის აკრეფას
მე შენთან დავემალეო.
არ წავალ, არ მოგშორდები,
თუნდაც მომხსნიდნენ ხვალეო.

ჩვენ არ ვიცით, როგორ მოიქცა აბესალომ დეპეშის მიღების შემდეგ.

ამბობენ — ეთერის სურვილს ვერ აღუდგა წინ და ბრძანება უკან დაბრუნების შესახებ არ შეასრულაო.

ან კი რა საჭიროა ვიცოდეთ აბესალომის თავგადასავალი. საკმაოა ჩვენთვის ისიც, რაც გავიგეთ უმაღლეს ორგანოს დადგენილებით მის შესახებ.

მთელი რიგი ოპორტუნისტული შეცდომების გამო პურისა და ბამბის მოსავლის აკრეფისა და დამზადების საქმეში, აბესალომ თაღლითაშვილი გამორიცხულია პარტიის რიგებიდან.

ყუმბარა

იყო ბრძანება.
ალბად სუყველას
წაკითხული გაქვთ,
მაშასადამე.
ისევ ისმინეთ
ჩემი ბრძანება,
მიყვარს სათქმელად
სიტყვა სადა მე.

როგორც ჩვენ ვსწერდით
და გაცნობებდით—
ვამზადებთ ნომერს
ჩვენ რკინის გზისა,
სადაც ბევრია
პანლურსაკრავი
და გასარეკი
ჯეტებით ბზისა.

დღეს ყველამ იცის,
რომ ტრანსპორტისკენ
მიქცეულია
ჩვენი თვალყური,
რადგან ზოგ მის დარგს
სასირცხვოდ სცხია
ოპორტუნიზმის
ლაქა და მური.

ჩამორჩენ ტემპებს
სოცმშენებლობის,
ან უკან ძლივს-ღა
მიჩანჩალებენ
და ჩამორჩენას
„ობიექტიურ
პირობებსა“ და
სხვებს აბრალებენ.

დაირაზმენით
მტკიცე მწკრივებად
და გამოჰყავით
ბრიგადირები.
რკინის გზის ყოველ
კუთხეს მოედვან
შეუდრეკელი
ჩვენი გმირები.

ლოზუნგი არის:
თვალთახედვიდან
სადგურ-ბაქანი
არ დარჩეს ისე,—
სად და რომელშიც
არ მუშაობდენ
ჩვენი კორები
ან მოხალისე.

„თითო მასალა
თითო ნიანკორს“—
ავალდებულო
მინიმუმია.
(მეტსაც იშოვნით
თუ ხელს გაანძრევთ
და არ დადგებით
როგორც მუმია.

ნიანგი

მომარაგების სახალხო კომისარიატს, ა.-კ. კოოპ. კავშირს, ცეკავშირს, სარეწაო კავშირს, სახვაჭროგას ყოველნაირ კოოპებსა და კავშირებს და სხვადასხვადასხვას...

იყო მუშკოოპი... აცხონოს ღმერთმა.
მკვდარზე ცუდის თქმა არ შეიძლება;
ან კარგს იტყვიან, ანდა—არაფერს.
მაგრამ რადგანაც სათქმელი კარგი
ამ შემთხვევაში არა არის რა,—
ამიტომ მხოლოდ მოვიხსენიოთ
და პატივი ვსცეთ ფეხზე ადგომით:
ვინც ვზივართ—ვიჯდეთ, ვინც ვდგავართ—დავჯდეთ
და ვუთხრათ სიტყვა უკანასკნელი:
„სიმართლემ შენმა გაცხონოს შენა“.
(და მაშ, ცხადია, ის ვერ ცხონდება!)
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა“... მაგრამ
ნაძრახ სიცოცხლეს როდის ჰქონია
ბოლო, „სიკვდილი სახელოვანი“?
ბევრი დასტირის მის მიცვალებულს:
ბიუროკრატი, ყოფილი ჩარჩი,
ძველი ვაჭრები, მავნე, მფლანგველი
სტირიან წყარედ: „ჩვენო მუშკოოპო“.
(აქვთ მათ უფლება ამისი თქმისა,
უმრავლესობა იყვნენ ისინი).
ჰო-და, სტირიან: „ჩვენო ძვირფასო,
გწმენდენ და გწმენდენ, და ამ წმინდის დროს
ბოლო მოგეღო მოულოდნელად.
ცეკამ და ცაკმა და სახკომსაბჭომ
გამოგიტანეს შენ განაჩენი,
და უმაღლესი ზომა სასჯელი
!ოსრულებია დღეს მოყვანილი.
გაცხონოს ღმერთმა. არ დავივიწყებთ
ჩვენზე შენს ამაგს, პატივისცემას.
შენი ნათელი ხსოვნა მუდამ-ამად
იქნება ჩვენში დაუვიწყარი“.
ჰო-და მუშკოოპი აწ აღარ არის.
ამიერიდან არ დაბრალდება
მას ჩვენი ცუდად მომარაგება.
თქვენც, რომლებს ხშირად ბრალი გიძღოდათ
მომარაგების ჩაფლავებაში,
თქვენც აბრალებდით მას თავის ცოდვებს.
და ყველაფერში ის იყო ბრალი;
ყველა ურტყამდა იმ საწყალს თავში.
(ამ მოგონებამ შეც ამატირა
და შემაბრალა მიცვალებული,
„ნიანგის ცრემლს“ ვაფრქვევ მის ცხედარს).
ჰო-და რაც იყო, ის აღარ არის,
ჩაბარდა არქივს უთავბოლობა.
იცოდეთ—პასუხს თქვენ აგებთ აწი
მომარაგების ყოველ საკითხში.
ჩარი არა გაქვთ! უნდა გასკდეთ და
მოაწესრიგოთ მომარაგება.
ამიტომ გაძლევთ ნაკაზს ამნაირს:
ნუ გეგონებათ, რომ ეს ზაფხული
მუდამ იქნება და არსად წავა.
კარზე მოგვადგა ჩვენ შემოდგომა
და მას მოჰყვება უკან ზამთარი
თუ გულმავიწყი არა ხართ, მაშინ
გემახსოვრებათ ზამთრის სიცივე
და ისიც კარგად გეცოდინებათ,
რომ წინაალმდეგ ყინვა-სიცივის
არის საჭირო: შეშა, კალოში,
შალი, ფანელი და ბამბაზია,
თანაც საკვები შესაფერისი...
აი ამისთვის ხართ თქვენ შექმნილი,
ეს გევალებათ, სხვა არაფერი,
და თუ, იცოდეთ, გაფრთხილებ ყველას,
ვერ შეასრულეთ თქვენ თქვენი ვალი.—
მაშინ სასჯელი, რომელიც მუშკოოპს
მოულოდნელად გამოუტანეს,
არ აგცილდებათ არც თქვენ, იცოდეთ;
„ობიექტიურ პირობებიანა“
ვერ გაიმართლებთ თავს ბრალდებისგან.
უნდა შეუდგეთ ეხლავე საქმეს
და მუშაობას დაკვრითი წესით,—
და შესრულებას ჩვენი ნაკაზის
თქვენგან მოვითხოვთ ასი პროცენტით.

დედანთან სწორია: რინ-ტინ-ტინ.

ზაფხულის შვება-აგარაკი და ნიანგის მასზედ ლაპარაკი

(კბილ-გაკრული)

კარგია სიცხეში ნაძვნარი,
კარგია ზღვის ტალღაც ნარნარი,
კარგია ბორჯომი, ბახმარო,
დროებით სატრფო თუ საქმარო,
კარგია მთის ნისლში ფლირტები,
მეავე თუ სხვა წყლების ზვირთები,
კარგია დასსახლი, კურზალი,
ოხრად სმა, ჭამა და ბურგალი...
მე შურით გავსცქერი ყველასა,
ვინც ჰპოებს ამ ხანად შველასა
და ირთავს თავისთვის აგარაკს:
არ ზოგავს ამისთვის ლაპარაკს,
წუწუნებს გულსა თუ მადაზე,
და გეგმებს „ასრულებს“ ვადაზე,
განოჰყავს ქაღალდზე ციფრები,
ისე რომ შენც ნახვით ითვრები!
და მზათ ხარ დაჰკოცნო თვალებში,
არა თუ ამ სიცხე-ალებში
დარჩეს ის ზედმეტად ქალაქში.
დე, ჩაწვეს ახტალის ტალახში,
ბორჯომის წყლების თუ ზღვის შლამში,
ავიდეს ბახმაროს და ხრამში
გადადგეს, ვით ჯიხვი კლდის თავით,
ეს ყველა გსურს მისთვის ამ თავით,
რადგან მან მოხელთა გეგმები,
გარღვევებს დაადგა ჩექმები,
აღმოფხვრა ყოველი ზიანი
და შვებაც ეკუთვნის თვიანი,
თუ ზოგჯერ ორ თვის არ ისურვა...
(ეს ისე, რაც ოფლი იწურვა!);
გავკრავ კბილს, გამოვკრავ სინჯვითა
და საღსაც გავარჩევ ხინჩითა!
ხინჩადაც, მრწამს, ყოველს წყვილებში
თითო მე მომხვდება კბილებში,
რაც უდრის ნახევარს მრთელისა,
დრო რო აქვთ გართობა—შველისა...
მაგრამ ეჰ, არ უშავს: გაერთონ!..
ასეთებს ხაზს ვუსვამ საერთოდ.
,მე იმ გმირთ შევხარი ამ ხანად,
თავი რომ არა აქვთ საფხანად,
ზაფხულის ამ სიცხე-პაპანში
ისევ რომ უბიან ჭაპანში
და „პოსტზე“ საბჭოთა შრომისა,
იჩენენ სიფიცხეს ლომისა!..

ჰაზირა

საზაფხულო მიმომხილველთათვის

ჩვენ ქვემოდ მოგვყავს სანიმუშო წერილი, მიმოხილვა, ანუ „ოჩერკი", ჟურნალ - გაზეთების სპეციალური კორესპონდენტებისთვის. ამ ნიმუშის შედგენა მით უფრო გაადვილდა, რომ დაახლოებით ასე იწერება ჩვენს ჟურნალ - გაზეთებში საწარმოო, ან საკოლმეურნეო მიმოხილვათა საგრძნობი ნაწილი, რასაც ზაფუხლის კლიმატიური პირობები იწვევს.

თქვენ ამხანაგებო, დამწყებო ჟურნალისტებო, სპეკკორებო და მიმომხილველნო, იქნებ გამოგადგეთ ეს ნიმუში.

შთაბეჭდილება იწყება ასე:

დახუთული ქალაქის ინდუსტრიალური მაჯისცემიდან გადავჯექ სასწრაფო მატარებლის ვაგონში. რა რბილია ეს მეორე კლასის ვაგონი! მით უმეტეს ქალაქში ხის სკამებზე ჯდომის შემდეგ... სადგურში ბლომად იმყოფიან მუშები, კოლმეურნეები, ღარიბი და საშუალო გლეხები. აქა-იქ მოსჩანს განწირული კლასის უკანასკნელ მოჰიკანთა — კულაკთა და პოდკულაჩნიკთა სილუეტები... მით უარესი მათთვის.

მატაოებლით ჩადიხართ უანასკნელ სადგურზე, სადაც:

ორთქლმავალმა ერთი ბაუბაუ დევივით მოიფშვინა და ტემპები შეანელა. მე უკვე გადმოვხტი ვაგონიდან და „სოიუზტრანსის" მანქანაში ჩავჯექი....

ჩვენი მანქანა მიქრის უდაბურ ველებზე. შორს, ჰორიზონტიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით, კიაფობს დამკვრელი ქარხნის დამკვრელი მილი! ავტო ხტის სიხარულით და შარა-გზის ქვები ხევ-ხუვში მიცვივიან ტურებისთვის ამბის მისატანად.

უკვე მიხვედით წარმოებაში. განაგრძობთ წერას:

ამ ადგილას შარშან ტურები ჭყაოდენ. დღეს გიგანტი შენდება და სოცშეჯიბრი უმწვერვალეს წერტილს აჭარბებს. ამას ამტკიცებს ქარხნის დირექტორის სახე, მისი ღიმილი და ლაპარაკი. გადავჯექით „ფიატის" მანქანაში და ნედლეულს ვათვალიერებთ. „ფიატს" საერთოდ სვლა კარგი აქვს, თუმცა არც „პაკარტი" და არც „ფორდი" არ არიან ნაკლებნი.

„ფიატითვე" ვბრუნდებით მე და დირექტორი ფაბრიკის სასადილოში, საიდანაც ეტლით მივდივართ მახლობელ კოლმეურნეობაში.

კოლექტივის თავმჯდომარეს ეტყობა, რომ კოლმეურნეები დიდათ კმაყოფილი არიან ამ ხელმძღვანელით და შრომის ორგანიზაციაც საუცხოოა. ამას მეტყველებს ამ ადამიანის თვალ-წარბი.

იოლია ლაფშებზე გადავჯექით, მიდამო დავათვალიერეთ და დავრწმუნდი, რომ დიდია ამ კოლექტივის მიზან - ამოცანები. ალბათ სრულდება სამუშაო პროგრამებიც.

წერილს ამთავრებთ ასე:

ამრიგათ, მუშათა და კოლმეურნეთა შრომითი ენტუზიაზმი თავდებია... და სხ.

თქვენ გიკვირთ, ამხანაგებო, რომ აქ ნაკლებია ლაპარაკი თვით მუშებთან, კოლმეურნეეთან, ციფრებთან და საქმესთან. ნუ შეკრთებით: საკმარისია საერთო სქემა კარგათ შეისწავლოთ, ავტოების ფირმები დაიხსომოთ. ხოლო თვით საქმის შინაარსს ტფილისში მოგითხრობენ სათანადო ტრესტები და გაერთიანებები, ამას ბოლოსაც ჩაუმატებთ.

აღლარ-აღლარსან.



— მამილო, რა გაჩქარებს? აკი თითქოს მივლინებაში ხარ წამოსული! ფულსაც მეტს გამოიწერ,—ორი დღე კიდევ დარჩი!

ნახ. ქოქაშვილის.

„შოვზე, სიყვარულზე და სოიუზტრანსზე“

— ძალიან გიყვარდა?

— მიყვარდა... მასაც ვუყვარდი,—სთქვა ჩემმა მოასუბრემ და ისე ამოიოხვრა, თითქოს გული თან ამოიტანაო.

მატარებელი გაჩერდა ხაშურში. ჩემმა მოსაუბრემ დაუინებით მთხოვა ჩამოვსულიყავით და ცოტა გვესაუზმა, როცა გამოირკვა, რომ მატარებელი ნახევარ საათს დაჰყოფდა ხაშურში.

კარგად შეზარხოშდა ჩემი თანამგზავრი. ჩვენ უკვე დავახლოვდით. მე მას კოლიას უძახოდი, ის მე მიშას მეძახოდა და ასე წამოვედით ხაშურიდან თბილისისაკენ.

კოლიამ უკვე საუკეთესო მეგობრად გამომაცხადა და მთხოვა გამეზიარებინა ყველა მისი განცდები. მე რა უფლება მქონდა არ მომესმინა, მით უფრო კარგი საუზმის შემდეგ.

— ჰო! იმას გეუბნებოდი... სიყვარული ვის არ შეათამაშებს, ვის არ დაურღვევს მყუდროებას... დიახ. როგორც მოგახსენე, ეს პირველი სიყვარული იყო ჩემთვის... მანაც განსაკუთრებული ყურადღებით და თანაგრძნობით გამიღო გულის კარი... ჩვენ შევფიცეთ ერთმანეთს... რა ვუყოთ, რომ ის ახალქმრგაშორებული იყო. განა ნაქმარევს არ შეუძლია სიყვარული?!.

კოლიამ ისე შემომხედა, თითქოს მე ვედავებოდი.

— ...ჰო- შევფიცეთ ერთმანეთს. გადავსწყვიტეთ ზაფხული ერთად გაგვეტარებია შოვში. მთელი ერთი თვე არაფერი მიჭამია. შავი პური და წყალი დილით, შუადღეზე და საღამოს. ასე შევაგროვე ფული და გავისტუმრე ის შოვში... მან ცრემლები ღაპაღუპით გადმოჰყარა თბილისის სადგურზე. მატარებელი ჩქარა რომ ან წასულიყო, ალბად, გასკდებოდა ტირილით.

„ხუთში თუ არ ჩამოდი მე ცოცხალი აღარ დაგინდებიო“. ასე მითხრა. „თუ არ ჩამოვიდე, მკვდარი მიგულე მეთქი — ვუთხარი მე მთელი ჩემი სისპეტაკით. ეჰ! ეს სისულელე მომივიდა, მაგრამ ეხლა რაღა დროსია.

— მერე, მერე?

— მე, რასაკვირველია, ჩემი სიტყვის პატრონი ვარ. 4-ში უკვე ქუთაისში ვიყავი. ისე შემძულდა ქუთაისი ისე, ისე; რომ ჩემს დღეში იქ ფეხს არ დავდგამ. ჰო! ქუთაისში გახლდი 4 რიცხვში. არ გინდა წასვლა? არ გინდა ავტომობილის ბილეთის შოვნა?

კერძო ავტომობილმა იმდენი ითხოვა; რამდენიც ჩემი სატრფოსათვის არ მიმიცია გამგზავრების წინ. „დაიკავეთ რიგი“ და როცა მოგიწევთ, პაუალუსტა! — მითხრეს „სოიუზტრანს“-ის კანტორაში, სადაც ერთი კვირით ჩემზე ადრე წამოსულები თვალებ ჩაცვენილნი ფუსფუსებდნენ.

ოთხი აგვისტოც გავიდა, ხუთიც, ექვსიც, ათიც. ბინა არ გინდა! ჭამა არ გინდა!? გამომიჩნდა ერთი ნაცნობი იმერელი მიკიტანი, რომელიც ღამეს მათევიებდა „უფასოდ“; ხოლო ერთ პორციას უხორკო ხარჩოს, როგორც ნაცნობს, ორ მანეთად მითმობდა.

ვერ წარმოიდგენ, რა დღეში ჩავარდი. შუაზე დავიდა ჩემი ერთი თვის საგარაკოთ გამორწყული ფული... „სოიუზტრანს“-ში ისევ იგვე პასუხით მხვდებოდნენ... უგულო ხალხი! რა იცოდნენ მათ, რა ცეცხლი მეკიდებოდა; რა იცოდნენ მათ, რომ ერთი ბილეთის მოცემით ბედნიერების მრევში შემაცურებდნენ! ჩემი შეყვარებული, რომელმაც ცრემლებით მითხრა თუ დაგვიანე ცოცხალს ვეღარ მნახავო, მე უკვე წარმომიდგა სახე ჩამომჭკნარი, დასევდიანებული, მომაკვდავი... ოხ! „სოიუზტრანს“. „სოიუზტრანს“, „სოიუზტრანს“, — ვიბრაგუნებდი ხელს გულზე და დაღვრემილი ვიჯექი ბაღში, როცა ჩაიარა ჩემმა ნაცნობმა, რომელიც შოვში მეგულებოდა და რომელსაც ვუგზავნიდი წერილებს იქ ქალისათვის გადასაცემად... უკვე დაბრუნებულიყო შოვიდან სხვადა სხვა მიზეზების გამო.

როგორ არის? — ეს იყო პირველი ჩემი შეკითხვა. ძალიან კარგად, მხოლოდ შენი წერილების გადაცემა ვერ მოვახერხე, რადგან ქმარი თან დაჰყავს. მარტო ფეხსაც არ ადგამსო, — მიპასუხა მან.

მე აღარაფერი მითქვამს მისთვის. გამოვეშვიდობე. წავედი ჩემთვის...და თავი მივეც ფიქრს... მას მე ფიცი მივეცი: მე ვუთხარი, რომ თუ ხუთში არ ჩავედი, მკვდარი ვიქნები... დარწმუნდა, ალბად, რომ მე მოვკვდი... ოჰ! „სოიუზტრანს“! სულ შენი ბრალია ყველაფერი. დარწმუნდა, რომ მკვდარი ვარ და შეურიგდა თავის ქმარს.

— ძალიან გიყვარდა? — ვეკითხები.

— მიყვარდა და მიყვარს ეხლაც, მაგრამ რა თავში ვიხლი ასეთ სიყვრულს.—კოლიას გული აუჩუყდა და გავიდა კუპიდან.

ხიხი

ნახ. **ალდანადოვას.**



— სონიკო, რა მოგივიდა? რატომ დამარტყი თავში წიგნი?

— ყველა ქმრები საძაგლები ხართ... ამ რომან ში ქმარი ცოლს აგარაკზე გაგზავნაზე უარს ეუბნება!

კოწი კიწმაწურიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების მოედანთან ხალხი ბუზივით ირეოდა. ნინო გამცემლიძე —თხლეკავშირის რეგისტრატორი ქალი გამგის დაკარიელებულ კაბინეტში შევიდა. სახე მოიპუდრა, ტუჩები ჰამადით „მოიკაზმა“ და პუშკინის ქუჩაზე ახლად დაგებულ ტრამვაის გასაჩერებელ ბაქაის მიაშურა, სადაც სიკო ელოდებოდა. თან ფიქრობდა...

— „არ შეიძლება სამსახური ან უნდა გავთხოვდე, ან ქალაქიდან უნდა წავიდე. რა გლახა დრო დადგა ჩვენთვის: ახალგაზრდები, უმეტეს ნაწილად, ბიჭ - ბუჭებია კაცი ვერ ენდობა, დადინჯებულ კაცებს ყველას ცოლ - შვილი ჰყავთ და ჩვენთვის თუ მოიცლის მხოლოდ დროებით გართობის მიზნით. სიკო მართალია სხვაზე უფრო სერიოზულია, მაგრამ ამ საკითხში ყველაზე უფრო წუწკი და დაუნდობელია“... — გაიფიქრა ნინომ.

— ნინოს გაუმარჯოს — მიესალმა სიკო.

— დღეს ვერ წამოვალ, არ შემიძლიან.

— როგორც გინდათ! — უპასუხა მკვეთრად სიკომ, ზურგი შეაქცია და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

— მოიცა, მოიცა!..

— მოხვალ?

— არა, გალმა არ შემიძლიან.. სიკო გაბრუნდა.

— მოიცა, სად გარბიხარ?

ამ დროს სიკოს წინ კოწი კოწმაწური შეიოლითა.

— იცნობდეთ, — კოწი კოწმაწური. — უთხრა სიკომ ნინას და თან ჩუმათ დაუმატა: კადრების განყოფილების გამგე ქვრივი... ე, გოგო, სწორედ საშენია.

— გაგისკდა მიწა!..—ჩაილაპარაკა ჩუმათ ნინამ, კოწის ხელი ჩამოართვა და თან გულში გაიფიქრა:

— მართლაც კაი ბიჭია, იმნაირი თვალით მიყურებს, თუ ილბალი მაქვს, ახლა უნდა გაჭრას.

— თქვენ საით მიხვალთ? — ჰკითხა ნინამ.

— სიკოს მივყვები.

— ალბათ ცოლი შინ გელოდებათ და თქვენ კი...

— მე ქვრივი ვარ, ცოლი არა ყავს.

— რატომ არ ირთავთ?

— თქვენისთანა კარგებს ვერსად ვხდებით და სხვებზე კი...

— ეგ არის, ჩემი ბედია: — გაიფიქრა ისევ ნინამ. — და მისი დამახასიათებელი ფასონ - მასონი ხელათ დაივიწყა: სამივენი ტრამვაიში ჩაჯდენ და სასადილოთ პლეხანოვის პროსპექტზე სტალინის სახელობის კლუბისაკენ გაუშურენ.

უცებ რონოდაში ვილაც სოფლიდან ჩამოსული შუახნის შავ კაბიანი ქალი შემოვიდა და ნინოს ბრწყინვალე ოცნებას შავი სუდარა მიაფარა.

კოწი მას შორიდან მიესალმა და დასაჯდომი ადგილი დაუთმო.

— ცოლშვილი როგორა გყავთ?

— გმადლობთ, — ჩაილუღლუღა კოწიმ.

— ბავშვები სოფელში გგზავნეთ?.. ცოლი აქა გყავთ?.. მიველინებაში გგზავნიან? მერე ნინას ეწყინება ეგ ამბავი... ტუშა ხიალ მიდის? შენი მეორე ცოლის და ხომ არ ჩამოსულ ... ქალთან იდან?... შენი ბავშვები რა ხანია არ მინახავს... — ტყვიასავით მიაყარა „თავაზიანმა ნაცნობმა“ და თან ისეთი ტონით, თითქოს ამ სიტყვებით კოწოს დიდ ერთგულებას და თანაგრძნობას უმტკიცებდა დაბნეული კოწი დატანჯულ თვალებით სიკოს ჩასცქეროდა. ბოლოს, როცა უკანასკნელ გაჩერებას მიუახლოვდენ კოწიამ ქალა მოიკრიბა და იმ მხარისაკენ გაიხედა, სადაც ნინა ეგულებოდა. მაგრამ ამოდ... კოწის ნაცნობი ქალის სიტყვებით იმედ „გაფუსტიაკებული“ ნინა პირველ გაჩერებისთანავე ტრამვაიდან გაპარულიყო...

მედუზა...



ნახ. თოიძის.

— ჩამოდი ზღვაში; აქ მეტ მარილს ნახავ, ვიდრე მაგ წიგნებშია!

სიზმარ-ცხადი

— **გაგონილა** თავისთავის მიმართ ასეთი უყურადღებობა? — წყრომით უთხრა ექიმმა გიორგის. — თქვენ უკვე მძიმედ დაავადებული ხართ. ფილტვების სისუსტის ნიადაგზე უკვე ჭლექის ნიშნები გაქვთ... ნევრასტენია უძლიერეს ფორმაში... ნერვების წარმოუდგენელი მოთენთვა და მთელი ნერვიულ სისტემის მოშლა. სისლისაგან სულ დაცლილხართ. ერთი სიტყვით თქვენი მდგომარეობა უნუგეშოა, თუ წესიერად არ იექიმეთ, არ დაიცავით ამბულატორიული წესები მკურნალობისა. შეგნებული მუშა ხართ და ეს უნდა იცოდეთ, რომ ამბულატორია და, საერთოდ, აქიმობა მაშინ ჰშველის ავათმყოფს, როცა სისტემატიურად და წესიერად მკურნალობს, ე. ი. ყოველივე ავათმყოფობას თავის დროზე აქცევს ყურადღებას. შენ უკვე კაცი „ხელიდან წასულხარ“ და ახლა მოდიხარ ჩვენთან ამბულატორიაში. თუ ჩვენმა დახმარებამ შენ ვერ გიშველა, მერე მოგვდგებით და გვლან ძღავთ, გვაგინებთ, რომ აბულატორიაში ცუდი ექიმები არიან. აბულატორიამ არაფერი იცისო. მაასადამე, საჭიროა თავის დროზე მკურნალობა. ძალიან ცუდად ხარ, სიმართლე გითხრა სიკვდილ - სიცოცხლის შუა ხარ, მაგრამ თუ კი დაიცავ მკურნალობაში ჩვენს რეჟიმს, ისე გაჯანსაღდები, როგორც წინედ იყავ!

— მიშველეთ, ექიმო, და თქვენს გადაუვალს არაფერს ვიზამ! — შეეცადა შეშინებული გიორგი.

ექიმმა წამლები გამოუწერა, ბიულეტენი შეუვსო და გამოემშვიდობა, წავიდა.

— ნუ გეშინია, მარო, კარგად გავხდები; დამზღვევ სალაროში მივალ და სამმე აგარაკზე გამგზავნიან. ალბად არც ისეა საქმე, როგორც ექიმმა დაგვაშინა, მაგრამ დაგვაშინა იმიტომ, რომ თავს ვუაქმო. ეს კარგია. მართალს ამბობდა ექიმი, გვიან ვიცით ამბულატორიაში მისვლა!—ამხნევებდა გიორგი ცოლს, რომელსაც ლოდად დაწვა გულზე ექიმის სიტყვები.

სალამოს სიცხემ მხოლოდ ორი ხაზით მოიმატა, მაგრამ მაინც მშვიდათ ეძინა გიორგის.

დამზღვევ სალაროში ივიდა საექიმო საკონტროლო კომისიაში გასატარებლად, რომ სამმე აგარაკზე გაეგზავნათ.

— რაიონულ ექიმიდან, ან თქვენს ამბულატორიიდან არის საჭირო ქაღალდი თქვენი აქ გამოგზავნის შესახებ! — უთხრეს გიორგის დამზღვევ სალაროში.

— ეს ადვილი საქმეა.—გაიფიქრა გიორგიმ და ამბულატორიაში წავიდა.

გიორგის ძალიან გაეხარდა, როცა კაბინეტში ნაცნობი, მასთან ნამყოფი ექიმი დაინახა.

— გავკეთდი კაცი, აუცილებლად გამგზავნის საექიმო კომისიაში! — ფიქრობდა გიორგი, როცა ექიმი მას სინჯავდა.—ექიმო, თუ გახსოვთ, თქვენ ამას წინედ კიდეც მინახულეთ სახლში და მითხარით რომ...

— შე კაი კაცო, რა მახსოვს გინახულე თუ არა! დღეში რამდენი ავადმყოფი გაივლის ჩემს ხელში; ყველა ხომ არ დამამახსოვრდება? ჰო, საქმე იმაშია, რომ მე არ შემიძლია თქვენი გაგზავნა საექიმო კომისიაში დასასვენებელ სახლში ან სანატორიუმში გაგზავნის მიზნით.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენ საამისო არაფერი გჭირს. თქვენისანა ავათ ბევრი არის, ყველა თუ გაგზავნეთ, რა გამოვიდა! თქვენ ამბობთ — ფილტვებიო. ფილტვებში საშიშარი არაფერია. ნერვებიო—მერე რა ეუყოთ, ეხლა დამშვიდებული ნერვები არავის აქვს. ჰო-და სისხლნაკლოვანობა, ნევრასტენია ვის არ აქვს. თქვენისანა ჯანსაღი ნეტავი ყველა იყვეს.

მაგრამ, როგორც იყო, გიორგიმ „დააძრო“ ექიმს ქაღალდი საექიმო საკონტროლო კომისიაში გასატარებლად.

აქაც უარი უთხრეს. მაგრამ შემდეგ, როცა გულმოსულმა და მოთმინებიდან გამოსულმა გიორგიმ უშუალოდ თავმჯდომარეს მიმართა, ამ უკანასკნელმა ისევ გაატარებინა კომისიაში, რის შემდეგაც გიორგი 15 დღით დასასვენებელ სახლში გაგზავნეს.

დასასვენებელ სახლში მისვლისთანავე გასინჯეს გიორგი.

— საკვირველია, რატომ გზავნიან ასეთ მძიმე ავადმყოფებს დასასვენებელ სახლებში. სხვა რომ არა იყოს რა, სხვებს დაასნეულებენ. — უთხრა ექიმმა თანაშემწე ქალს და გიორგის მიუბრუნდა.—შენ, ჩემო ძმაო, აქ კი არა, სადმე სანატორიუმში უნდა გაეგზავნე. აქ დასასვენებელი სახლია და არა სანატორიუმი, რომელიც შენ გესაჭიროება.

— უკაცრავად არ ვიყო, ექიმო და ვერაფერი გამიგია თქვენი. ე. ი. ექიმების ამბულატორიის ექიმმა როცა სახლში მნახა სწორედ თქვენსავით გამიტეხა გული. შემდეგ, როცა ამბულატორიაში ვნახე, ჯანსაღად გამომაცხადა. დამზღვევი სალაროს საექიმო კომისიამაც ჯანსაღად მცნო და აქ არ მაგზავნინა, მაგრამ შემდეგ როგორც იქნა, მაინც გამომაგზავნეს. ეხლა თქვენ მეუბნებით მომაკვდავი ხართო, დასასვენებელი სახლი კი არა, საავადმყოფო გესაჭიროებაო.

— სწორედ რომ საავადმყოფო. მე თქვენისანა ავადმყოფებს უკან ვაბრუნებ, რათა სანატორიუმებში გააგზავნონ და არა დასასვენებელ სახლებში. მაგრამ, ვნახოთ, დარჩით ეგენ, მოიკეთოთ.

გიორგი ამბულატორიის კარებიდან გამოვიდა და...

და ოთახის ღია კარებიდან შემოსულმა სინათლემ გიორგი გამოაღვიძა. სიცხე ნორმალური ჰქონდა.

— მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი ეს სიზმარი ყოფილა და არა ცხადი!—გაიფიქრა გიორგიმ და ცოლს მხიარულად დაუწყო ნახული სიზმრის თხრობა.

ზმუკი.

„ჩარლსტონი“

„ადგილებზე ზოგი კოოპერატივები კოლმეურნეებს არ აწვდიან საჭირო ტანსაცმელებს“.

ნახ. ტაბატაძის.

ნოქარი: — **რატომ არ გინდა? რატომ იწუნებ? ჩარლსტონია!... ეს არის უკანასკნელი მოდა!**

კვიროსი

ჩიბუხაძე

კვიროსის თეატრში იშვიათად ნახავთ. მთელი წლის განმავლობაში ერთი წიგნი თუ წაიკითხა, ისიც კარგია. (თუმცაღა წიგნებს ყოველთვის ატარებს თან, თითქოს დიდი მწიგნობარი კაცია).

კონცერტები და ოპერა ჭირივით ეჯავრება. სურათების არც ერთი გამოფენა უნახავს.

მაგრამ ხელოვნების ყოველ დარგის ნაწარმოებზე თქვენ იგი ავტორიტეტულად გეტყვის თავის შეუმცდარ შეხედულებას.

აი, საქმეც ამაშია.

ორი-სამი კაცი თუ ლაპარაკობს ხელოვნებაზე, კვიროსი აუცილებლად თავს ამოჰყოფს შუაში და უსმენს მათ

— „განგაში“ კარგია, მაგრამ შიგ არის ბევრი ყალბი ადგილი. —ამბობს ერთი.

— რას ამბობ, კაცო! შიგ არც ერთი ადგილი არ არის ყალბი. შესაძლებელია, ზოგიერთ სცენებს დამუშავება აკლდეს, მაგრამ ეს ნაკლი ადვილი გამოსასწორებელია! შეეკამათება მეორე პირველს.

ამის შემდეგ კვიროსი სხვებთან ასე ახასიათებს „განგაშს“, რომელიც მას არ უნახავს:

— არ არის სწორი თქვენი შეფასება. შიგ არც ერთი ყალბი ადგილი არ არის. შესაძლებელია ზოგიერთ სცენებს დამუშავება აკლდეს, მაგრამ ეს ნაკლი ადვილი გამოსასწორებელია.

— ზოგიერთი სცენები პიესაში ზედმეტია! —გამოსთქვამს თავის აზრს მესამე.

ასეთი აზრის არის კვიროსი ამის შემდეგ „განგაშის“ შესახებ:

— ზოგიერთი სცენები პიესაში ზედმეტია.

— არაფერი ზედმეტიც არ არის!— არ ეთანხმება მოსაუბრე.

კვიროსი ამის შემდეგ აზრს იცვლის, რომ:

— პიესაში არ არის არაფერი ზედმეტი.

*

— დიდებული რომანია „არსენა მარაბდელი“. —ამბობს ერთი.

— დიდებულია, მაგრამ რომანის დასასრული არ მომწონს! —გამოსთქვამს თავის „ავტორიტეტულ“ შეხედულებას ჩიბუხაძე, როელსაც არც კი წაუკითხავს ხსენებული ნაწარმოები.

— ხა-ხა-ხა-ხა! დასასრული სად წაიკითხე, როცა ჯერ რომანი დაუმთავრებელია?!

—მე, კაცო, სხვა ნაწარმოებზე ლაპარაკობდით მეგონა! -ასწორებს თავის შეცდომას კვიროსი.

— მაინც რომელ ნაწარმოებზე ამბობთ? —არეშვებიან, რომ ტყუილში დაიჭირონ.

— აი, ის... რო არის... ბუზაძის! — ძლივს იგონებს ვიღაც „მწერალს“.

— ბუზაძის რომანის არც დასასრული ვარგა და არც დასაწყისი.

— ჰო-და, მეც მაგ შეხედულებისა ვარ! —ეთანხმება ჩიბუხაძე ბუზაძის რომანის შეფასებაში.

— დიდებულია არსენა მარაბდელი“, დიდებული! —ამბობს კვიროსი სხვებთან.

— მაგრამ, —გამოსთქვამს თავის აზრს მეორე, —ძალიან გაჭიანურებულია. რომანი მეტს მოიგებდა რომ უფრო დაიხვეწებოდეს.

ამის შემდეგ კვიროსი ჩიბუხაძე სხვებთან ასე ახასიათებს „არსენა მარაბდელს“:

— ჰო, კარგია, მაგრამ ძალიან გაჭიანურებულია. რომანი მეტს მოიგებდა, რომ დაიხვეწებოდეს.

*

ფიზკულტურიზაცია

ტორდის აგროტეხნიკუმის გამგემ ფიზკულტურელთათვის გამოტანილი ტანსაცმელები თავის ნათესავებს და მეგობრებს დაურიგა.

ნხ. ქოქიაშვილის.

სროული შეხედულება

ნახ. დონის.

— „ბიუროკრატებს ჩვენს დაწესებულებაში ადგილი არ უნდა ექნესო“... სადღა უნდა ექნეს, როცა ყველა ადგილი უკვე დაუკავებიათ.

— მომღერალს კარგი ხმა აქვს, მაგრამ ჯერ დამუშავება აკლია მის ხმას. — ამბობს ერთი.

— დიახ, კარგი ხმა აქვს, მაგრამ ჯერ დამუშავება აკლია! —იმეორებს პირველს სიტყვებს სხვებთან ჩიბუხაძე.

—პირიქით, ხმა არ უვარგა, თორემ დამუშავება ხმას არ აკლია. — საწინააღმდეგოს ამტკიცებს მეორე.

ამის შემდეგ სხვებთან მომღერალზე ასეთ აზრს გამოსთქვამს კვიროსი ჩიბუხაძე:

— პირიქით, ხმა არ უვარგა, თორემ მის ხმას დამუშავება არ აკლია!

— საუცხოოა ანდღულაძე „აბესალომს და ეთერში“ —ყურს მოჰკრავს ჩიბუხაძე და მეორე დღეს თვითონ ამბობს:

— საუცხოოა ანდღულაძე „აბესალომს და ეთერში“! ეთერის როლის უკეთესი შემსრულებელი ჯერ ჩვენ სხვა არავინ გვყავს!

ხშირად ნაცნობები განგებ მოატყუებენ ჩიბუხაძეს:

— აუცილებლად იოსებ იმედაშვილი უდიდესი მოქანდაკეა. ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და მას დიდი მომავალი მოელის.

ამის შემდეგ ჩიბუხაძე ასე ახასიათებს „მოქანდაკე“ იოსებ იმედაშვილს:

— მე ვიყავი მის ატელიეში. უდიდესი მოქანდაკეა. ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და დიდი მომავალი აქვს!.

და უკვირს ჩიბუხაძეს, როცა ზოგიერთები მის სიტყვებზე სიცილს ასტეხენ:

ასეთია ჩვენი ხელოვნების მეცენატი, კრიტიკოს და უდიდესი ესტეტი კვიროსი ჩიბუხაძე.

ისელი.

„ნიანგში“ გამოცხადებული

ნესტორის თავგადასავალი

— „თუ თავი შენი თან გახლავს, ღარიბად არ იხსენები“, ჩაილაპარაკა სოფელ გალმას კოლექტივის თავმჯდომარემ ნესტორ სინაძემ და ოცი ფუთი სიმინდი თავის სახლში წაალებინა დარაჯს.

— ხელუხლებელი ფონდია თუ გა ნუყოფელი, ეს ჩემთვის სულ ერთია, უბრალო ხალხისათვისაა ხელუხლებელი და განუყოფელი, ორიმ ჩემთვის ხომ არა!

ნესტორმა ცალი ულვაში ხელზე დაიხვია, ბალკონზე მედიდურათ გაიარა და დარაჯს გადასძახა:

— სიკო, მიიტანე?

— კი ბატონო! — იყო პასუხი.

— ელენამ რა სთქვა?

— ცოტა მეტი რომ ყოფილიყო უკეთესი იქნებოდაო. ღვინო აღარა გვაქვსო და გამოგზავნეო.

— ჰო, მართლა, ღვინო გამომელია, ხუთფუთიანი კასრი რომ არის, აი ის წაიღე სახლში, — გასცა ნესტორმა ახალი განკარგულება, რომელიც დარაჯმა მაშინვე შეასრულა.

— ამხ. ნესტორ, მერგება ნამუშევარის ანგარიშში და მომეცით ორი ფუთი ხორბლეული. —მიმართა ნესტორს აქტიურმა კომკავშირელმა.

— შენ კომკავშირელი ხარ?

— ვარ.

— კოლექტივი გინდა?

— რომ არ მინდოდეს, არც ჩავეწერებოდი.

— პარტიას ეთანხმები?

— ვეთანხმები.

— იცი თუ არა რომ კოლმეურნეობები ახალი ნაბიჯია საქართველოში?

— ვიცი.

— ჰო-და სოციალიზმისა და კომუნიზმის დამყარება შენგან მოითხოვს ხმა არ ამოიღო დღიურებზე წინააღმდეგ. შემთხვევაში შენ სოციალიზმის მოწინააღმდეგე ხარ.

კომკავშირელმა გაიცინა და ხელი ჩაიქნია.

— რას იცინი?

— შენს უვიცობას.

— ვის უბრალავ?

— თქვენს აღმატებულებას, ე. ი. კაცს, რომელიც ცხვრის ქურქით შემოიპარა და სათავეში მოექცა კოლექტივს.

— ეხლავე დააპატიმრეთ და გაგზავნეთ რაიონში, — იყო განკარგულება.

ილიკო დააპატიმრეს. ნესტორმა ოქმში ჩააწერია, თითქოს მოკვლას უპირებდენ მას, როგორც კოლექტივის ხელმძღვანელს და ყოველივე ეს მიაწერა ოლასიური მტრის ხრიკებს.

— ესეც ასე... ერთი კბილის მატლიც ხომ მოვიცილე, ესეც კარგია!— ჩაიღიღინა მან.

ნესტორს ნათესავები ესტუმრენ.

— გოჭია საჭირო, გაიფიქრა მან და ჯიშიანი გოჭი, რომელიც მოსაშენებლად იყო კოლექტივში მოყვანილი დაჰკლა.

ნესტორს სჭირდებოდა ფული და კოლექტივის სალაროდან, რომლის მოლარეც თვითონ ნესტორი იყო, სახარჯოთ ხუთასი მანეთი გაიტანა.

— თესვისათვის მზად ვართ თუ არა? — შეეკითხენ ნესტორს კოლმეურნეები.

— ადექით და სთესეთ!

— რა დავთესოთ?

— ჰო მართლა, სასწრაფოდ გავგზავნოთ კოლმეურნეობათა ცენტრში მიმართვა, რომ ჩვენ მოგვცენ თესლი, მანამდე კი დაიისვენოთ.

—0—

არ გასულა დიდი ხანი, რომ ნესტორს შილიციელი მიადგა კარზე და კოლმეურნეობის გამგეობაში მიაბრძანა.

— ანგარიში ჩაგვაბარე! — იყო პირველი წინადადება რაიონის მიერ. გამოყოფილ სპეციალურ კომისიისაგან.

— რის ანგარიში?

— რაც გააკეთე!

ნესტორმა მოინდომა მისი „ნამოქმედარის“ მიფუჩეჩება, მაგრამ ვეღარ შესძლო. ნესტორის „საქმენი საგმირონი“ აღრიცხეს და როგორც „ენერგიული“ კოლმეურნე, დასასვენებლად მიაბრძანეს გამსახლში.

გორგილოსანი სოსო.

გერასიმე უქნელაძე

სოფელ უყიანში კოლექტივის მოწყობამდე გერასიმე უქნელაძე ისე ატარებდა დროს, როგორც მოეპრიანებოდა. მუშაობა თავიდანვე ეზარებოდა. ხეტიალი და ძველი შაირების მოყოლა მისთვის საყვარელ ხელობას წარმოადგენდა. ოჯახში, მართალია, ღარიბად სცხოვრობდა, მაგრამ ამაზე იგი თავსაც არ იწუხებდა.

მეზობლებიც თავისებურად უწყობდენ ხელს უქნ ლაძეს. შაირების მოყოლისა და დროს გასატარებლად ის ყველას „უყვარდა“, ტკბილ საუბარში შეჭცეულს, სადილობაც წამოადგებოდა თავზე და ლაზათიანად გამოძღიბოდა ხოლმე სხვისას.

კოლექტივიზაციის გამოცხადებამ ძალიან გაახარა უქნელაძე:

— სწორი ჩეძი საქმეა. როცა ყველა ერთად ვიქნებით, ყველაფერი მუქთად მიქნება.

კოლექტივი თანდათან მოღონიერდა. უქნელაძე სრულებით არ იჩინდა მუშაობის ინტერესს. ის ლაზღანდარობაში ატარებდა მთელ დღეს.

— სულერთია, რად ვიმუშაო, მაინც ქე გამინაწილებენ! —ფიქრობდა იგი.

მართლაც მოსავლის განაწილებისას მასაც ახვედრეს წილი.

კოლმეურნეობაში თანდათან მოწესრიგდა შრომის ორგანიზაცია. თავის სიმაღლეზე იქნა დაყენებული აღრიცხვა - წარმ. ების საქმე. შემოღებულ იქნა სანარდო სისტემა. კოლექტივის წევრებში კი ამან კმაყოფილი გამოიწვია.

„ვინც კარგად და მეტს იმუშავებს, ის მოსავალსაც მეტს მიიღებს“ — ეწერა სანარ ... სისტემის წესდებაში.

უქნელაძე კი ამ ამბავმა მეტად დააფიქრა. ...ორნობდა, რომ მის სიზარმაცეს ბოლო ... ...ოღებოდა..

გადაწყვიტა ხელი მოეკიდა მუშაობისათვის, რადგან თავს დასტრიალებდა ის აზრი, რომ „ვინც არაფერს აკეთებს და არ მუშაობს, ის არაფერს სჭამს“.

ულაკაძე.

კონკურსების შედეგები

კონდრატიევმა დაღუპა

ღამდებოდა, როცა ჩვენი სოფლის მასწავლებელი კოწია ბარბაცით გამოვიდა სასადილოდან, სადაც ის საადილობის დროს შევიდა თავის ამქრებთან ერთად.

გრილმა ნიავმა რომელიც შეეხო გახურებულ შუბლს, კოლია აზრზე მოიყვანა და ფიქრობდა:

— კაი გამახსენდა, ამ საღამოს ჩვენს სკოლაში მოხსენებაა კონდრატიევშჩინაზე!

მაგრამ კოწია თავისთავს ატყობდა, რომ მ[illegible]ალი იყო. მართალია, ასეთი ამბავი ჩვეულებრივი მოვლენა იყო მისთვის, მაგრამ ეხლა მაინც საზიფათოდ შეაჩნია სიმთვრალე.

— არ წავიდოდი მოხსენებაზე, მაგრამ კონდრატიევშჩინობის მომხრეობა რომ [illegible]ვამონ! წავალ, დავესწრები.! სადმე კუთხეში ავიტუზები [illegible] არავის დავენახვები! —გადასწყვიტა კოწიამ და სკ[illegible]ლის ეზოში შევიდა. ფრთხილად შეაღო კარები და მელასავით შეიპარა დარბაზში. გაცხარებული კამათი იყო და მისი მისვლა არავის გაუგია.

— საუბედოროთ ჩვენ გვყავს სკოლის შეუფერებელი მასწავლებლები, [illegible] ჩვენი სოფლის მასწავლებელი კოწია. სამსახურს ხშირად აცდენს, იგვიანებს, საქმეს გულგრილად ეკიდება. ლოთობს, ჩემის აზრით იგი ნამდვილი კონდრატიეველია! —დაასრულა სიტყვა კამათში გამოსულ[illegible]მა ერთმა ამხანაგმა და ყველამ ტაში [illegible]ცა.

— არ გრცხვენია, ბიჭო, მაგას რომ ამბობ? სად დამინახე მთვრალი? —ველარ შეიკავა თავი კოწიამ.

— შენ ახლაც მთვრალი ხარ. შენი სთანა პიდაგოგები ვერ გაზრდიან სოციალიზმის მშენებლებს! —მოახალეს ყოველმხრიდან კოწიას.

კოწია დაიბნა. [illegible]არ იცოდა რა ეთქვა. მიხვდა რომ უდროოდ მოუხდა შეკამათება. მიხვდა და ქუჩად კატასავით გაიპარა

—:—

გავიდა ორი კვირა.

— რა მოგვიდა კოწია? ცხვირი რად ჩამოგ[illegible]ვია? —შეეკითხა ამხანაგი.

— დამღუპა კონდრატიევმა, მისი ოჯახი დაღუპა ღმერთმა!

— რა იყო? რა დაგემართა?

— მასწავლებლობიდან მომხსნეს.

— რაკ[illegible]

— იმ [illegible]ის, ხომ გახსოვს, სასადილოში რომ დავითცერით; სკოლაში მოხსენება იყო კონდრატიევშჩინაზე, მეც ავდექი და წაიიდი; ნეტავი ფეხები მომტეხოდა და არ წავსულიყავ.

— ჰოო, გეკიდრება, კიდევ რომ თითო კვარტი დაგველია, მაგრად დაითვრებოდი, დაეგდებოდი სასადილოში და იქნებოდი, მოხსენებაზე აღარ წახვიდოდი.

— ეეეჰ! ეს რა ვიცოდი... დავიღუპე კაცი. დამღუპა კონდრატიევმა. კაცო, მთვრალი როდის არა ვარ, მაგრამ როცა დავითვრები სახლში მივდივარ. ახლაც ასე ვიზამდი, მაგრამ კონდრატიევმა დამღუპა. არ გაჩენილიყო ის ოჯახქორი, ან და ენა რომ გამეკმიდა თავისათვის, ეს ხომ არ შემემთხვეოდა. დამღუპა კონდრატიევმა. მისი ოჯახი დაღუპა ღმერთმა, რავარც კი არის დაღუპული და ქვეყნის მიერ სასაცილოდ აგდებული. სულელი ჩემი თავი. მომწონდა ის ოხერი, და თურმე, ჩემი დამღუპველი ყოფილა. რომ არ გაჩენილიყო, არც მოხსენება იქნებოდა მასზე და არც მე დავიღუპებოდი. დამღუპა კაცი კონდრატიევმა.

ალ. ი. მშვენიერაძე.

ჟიურიმ აღნიშნავს კონკურსის არადამაკმაყოფილებელ შედეგს.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 600 კაცმა.

ჟიურიმ ყველა წარწერებს ამჯობინა შემდეგი სამი წარწერა:

წმენდაზე

1. კოოპ. გამგე: — ჩემი რა ბრალია! მე საქონელს ნოქრებს ვუგზავნიდი, და თუ ისინი ნათესავებს ამარაგებდენ და ამიტომაც მე ყველაზე მეტი შემხვდა,—მე აქ რა შუაში ვარ?

კოლმეურნე გლეხი— **პროკოფი კონსტანტინეს-ძე, რატიანი.**

ჭიათურა, რგანის თემი.

2. — მართალია საქონლის გადაძალვისა და კერძო ვაჭრებთან კავშირისათვის პასუხისგებაში ვიყავი მიცემული, მაგრამ გაითვალისწინეთ ჩემი ბრწყინვალე წარსული — წინედ ცნობილი და სანდო ვაჭარი ვიყავი.

ალექსი გიორგის-ძე პატარიძე.

მარელისის გრეხილ - ავეჯეულობის ქარხნის მუშა.

კოლექტიველთა კრებაზე

კულაკი: — კულაკის ლიკვიდაციას გაიძახით... ყველაფერი მივყიდ - მოვყიდე, ყველაფერს ლიკვიდაცია ვუყავი... რაღას მერჩით!...მიმიღეთ რაღა!

შალვა კობახიძე, (სტუდენტი).

ტფილისში ჯილდოს მიღება შეიძლება გაზ. „მუშა"-ს კანტორაში, ჯორჯიაშვილის ქ. № 4.

[illegible]ბ. რატიანს ჯილდო გადაეგზავნება ადგილობრი-

ᲣᲐᲕᲘᲓᲐᲤᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲧᲚᲐᲙᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲐᲓᲐ ᲰᲭᲝᲜᲓᲐ ᲤᲣᲚᲘᲪ ᲛᲘᲢᲝᲛᲛ ᲒᲐᲛᲝᲰᲭᲝᲜᲓᲐ.

„ᲭᲐᲜᲘᲡ ᲐᲒᲣᲠ-ᲙᲠᲐᲛᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲝᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲔᲬᲔᲝᲓᲐ ᲚᲝᲗᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲥᲔᲘᲤᲡ. ᲛᲝᲮᲡᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ 4500 ᲛᲐᲜ. ᲡᲐᲬᲔᲕᲠᲝ ᲐᲜᲐᲠᲘᲪᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲚᲐᲜᲒᲕᲐ“.

ᲮᲚᲘᲡᲢᲘ.



ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲝᲛᲝᲑᲐᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ
ᲧᲣᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲖᲣᲠᲜᲐ-ᲓᲣᲓᲣᲚᲡ ᲐᲐᲧᲝᲚᲐ
ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ,
ᲪᲮᲔᲚᲘ ᲛᲧᲕᲐᲓᲘᲗ, ᲪᲘᲕᲘ ᲙᲕᲐᲠᲢᲘᲗ
ᲡᲣᲤᲠᲐ ᲰᲭᲝᲜᲓᲐ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲨᲚᲘᲚᲘ!
ᲝᲗᲮᲘ ᲐᲗᲐᲡ-ᲮᲣᲗᲐᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲡ
ᲛᲘᲢᲝᲛᲛ ᲣᲤᲜᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲧᲚᲐᲞᲘ,—
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲪᲔᲪᲚᲐᲓ ᲨᲔᲔᲠᲒᲔᲑᲐ
ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲧᲔᲛᲚᲘᲡ ᲪᲮᲐᲠᲔ ᲩᲧᲚᲐᲞᲘ.

ᲠᲔᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲰᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲐᲑᲐᲖᲔᲑᲡ, ᲔᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲑᲠᲐᲖᲔᲑᲡ?

„ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲚᲐᲪ ᲮᲣᲚᲘᲒᲐᲜᲛᲐ ᲓᲘᲓᲣᲑᲘᲡ ᲛᲐᲣᲓᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚ ᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲐ ᲒᲐᲢᲔᲮᲐ. ᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲠᲔᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲜᲐᲮᲚᲐᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲗᲘᲗᲝ ᲐᲑᲐᲖᲡ ᲐᲮᲓᲔᲕᲘᲜᲔᲑᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲪ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ“.

ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘ.

ᲐᲗᲐᲑᲐᲒᲘᲡ ᲥᲣᲠᲓᲦᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲛᲐᲭᲣᲢᲐᲫᲔ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲡᲝ,—
ᲠᲔᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘᲪ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲩᲰᲐᲓᲘᲡ
ᲐᲡᲝ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲡᲝ,—
ᲒᲐᲛᲒᲔᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲝᲑᲡ
ᲮᲐᲠᲙᲡ ᲐᲬᲔᲠᲐᲕᲡ ᲧᲐᲠᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ,
ᲗᲣ ᲙᲘ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ
ᲘᲡ ᲒᲐᲢᲔᲮᲘᲚ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲡ ᲨᲣᲨᲔᲑᲡ,—
ᲫᲛᲐᲝ ᲜᲘᲜᲒ, ᲨᲔᲜᲡ ᲡᲐᲙᲑᲘᲚᲝᲓ
ᲛᲔ ᲕᲗᲕᲚᲘ [illegible] ᲗᲣᲗᲘᲧᲣᲨᲔᲑᲡ.

ᲩᲘᲢᲝᲠᲔᲚᲘᲫᲔ „ᲡᲞᲔᲪᲘᲐ“, ᲛᲘᲢᲝᲛᲛ ᲑᲠᲢᲧᲚᲐᲓ ᲛᲝᲣᲬᲔᲪᲘᲐ

„ᲤᲔᲠᲝ-ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧ. ᲒᲐᲛᲒᲔ ᲩᲘᲢᲝᲠᲔᲚᲘᲫᲔ ᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲓᲐ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ, ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲡ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲔᲕᲔᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡ“.

ᲫᲘᲠᲣᲚᲔᲚᲘ.

ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘ ᲣᲡᲐᲥᲛᲝ,
ᲝᲞᲝᲠᲢᲣᲜᲘᲡᲢᲘᲪ ᲗᲐᲜᲐᲝ,
ᲩᲘᲢᲝᲠᲔᲚᲘᲫᲔ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲐᲠᲗ
ᲒᲐᲛᲒᲘᲗ ᲕᲘᲗᲕᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲝ,—
ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚ ᲒᲐᲛᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲔᲚᲡ
ᲣᲛᲦᲔᲠᲔ „ᲘᲐᲕ-ᲜᲐᲜᲐᲝ“
ᲜᲐᲪᲚᲝᲑᲔᲑᲡ ᲛᲝᲕᲐᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑ—
(ᲮᲔᲚᲛᲐ ᲮᲛᲝ ᲮᲔᲚᲘ ᲑᲐᲜᲐᲝ!)
ᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲓᲐᲕᲐᲞᲐᲜᲦᲣᲠᲔᲑ
ᲓᲐᲡᲐᲫᲠᲐᲮᲘᲐ ᲒᲐᲜᲐᲝ?
ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲮᲛᲝ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠᲕᲘᲜ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲡ
ᲓᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲕᲭᲐᲜᲐᲝᲑ!

ᲓᲐᲒᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲓᲐᲒᲡᲯᲘ ᲐᲑᲠᲔᲗ ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲛᲙᲐᲓᲠᲔᲗ

„ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲨᲔᲛᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲭᲔᲓᲚᲝ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘᲛ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐᲜ ᲛᲝᲮᲡᲜᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐ ᲖᲐᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲙᲘᲓᲚᲘᲡ ᲯᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲐᲛᲮᲘᲚᲐ ᲒᲐᲛᲒᲘᲡ ᲣᲗᲐᲕᲒᲝᲚᲝᲑᲐ.

ᲛᲣᲨᲙᲝᲠᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ.

ᲪᲮᲕᲘᲠᲘᲡ [illegible] ᲚᲝᲕᲡᲙᲘ,
ᲒᲐᲛᲒᲔᲐ ᲛᲗᲚᲘᲡ ᲪᲔᲮᲘᲡᲐ,
—ᲛᲣᲨᲙᲝᲠᲡ [illegible] ᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐᲡ,—
ᲘᲡ ᲛᲢᲕᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲔᲯᲮᲘᲡᲐ!“
ᲓᲐᲤᲔᲠᲗᲮᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐ
ᲔᲒᲝᲜᲐ ᲨᲔᲔᲠᲒᲔᲑᲝᲓᲐ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲣᲪᲮᲣᲜᲔᲡ,
ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲤᲝᲠᲔᲡ ᲫᲘᲜᲐᲕᲡ, ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ—ᲒᲛᲘᲜᲐᲕᲡ

„ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲡ ᲛᲗᲔᲚ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ ᲫᲘᲚᲨᲘ, ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲒᲘᲗᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲣᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ ᲕᲔᲠ ᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐᲡ“.

ᲛᲣᲨᲙ. ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲘ.



ᲐᲘᲐᲘᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲔ „ᲔᲡᲛᲘᲡ“
ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲐ:
ᲡᲐᲭᲔᲑᲘᲕᲠᲝᲓ ᲙᲐᲙᲚᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚ ᲥᲕᲔᲨ
ᲓᲐᲬᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲓᲒᲔᲑᲐ
ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝ ᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ,
ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲐ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ
ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲤᲝᲠᲔ
ᲐᲠᲐ ᲡᲬᲣᲮᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲤᲔᲗᲓᲔᲑᲐ!—
ᲜᲘᲐᲜᲒ!—ᲔᲠᲗᲘᲐ ᲙᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲭᲙᲐᲠ,
ᲔᲡ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲒᲔᲠᲒᲔᲑᲐ!

ᲔᲡ ᲒᲐᲘᲫᲕᲔᲠᲐ ᲛᲔᲚᲘᲐ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘᲐ ᲫᲕᲔᲚᲘᲐ

„ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲯᲐᲜᲓᲐᲠᲛᲗᲐ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲡᲣᲡᲚᲝᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲥᲕᲡ ᲝᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲘ Ს. ᲑᲐᲒᲔᲑᲨᲘ. ᲡᲣᲡᲚᲝᲕᲘ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲐᲫᲠᲝᲑᲡ ᲢᲧᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲙᲘ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ“.

ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐ.

ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ
ᲫᲕᲔᲚ ᲞᲐᲒᲝᲜᲔᲑᲡ ᲰᲤᲘᲪᲐᲕᲡ ᲒᲣᲝᲚᲝᲗ,
ᲓᲐᲞᲐᲠᲐᲠᲐᲛᲑᲡ, ᲨᲔᲘᲠᲩᲘᲜᲐ
ᲐᲥ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ, ᲘᲥ ᲛᲐᲛᲣᲚᲘ,
ᲓᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲝᲤᲚᲐᲠᲡᲐ
ᲨᲔᲣᲥᲪᲔᲕᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲘᲠᲗᲑᲐ.
ᲜᲘᲐᲜᲒᲡ ᲣᲙᲕᲘᲠᲡ ᲔᲡ ᲥᲝᲤᲐᲙᲘ
ᲕᲘᲜᲪ ᲯᲔᲠ ᲐᲠᲡ ᲠᲐᲗ ᲐᲠ ᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲐ?

ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲗᲥᲛᲐ

ᲓᲐᲕᲔᲕᲐᲠᲓᲘ ᲘᲛᲙᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ,
ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲗ ᲐᲛᲔᲕᲡᲝ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ,
ᲗᲣᲠᲛᲔ ᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ
ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲔᲤᲔᲓᲔᲜ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ.

—:—

ᲓᲐᲣᲓᲔᲒᲔᲜᲘᲐᲗ: ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ
ᲓᲐᲤᲔᲠᲗᲮᲝᲜ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ:
ᲛᲤᲚᲐᲜᲒᲕᲔᲚᲜᲘ, ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲜᲘ,
ᲓᲐᲣᲓᲔᲕᲐᲠᲜᲘ, ᲐᲜᲪᲔᲑᲘ.

—:—

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲙᲝᲠᲡ
ᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲘᲐ ᲐᲚᲔᲑᲘ,
ᲒᲐᲛᲒᲔᲗ ᲗᲣ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲐᲗ
ᲡᲣᲠᲗ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲝᲜ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ.

ᲛᲣᲨᲙᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲡᲐᲪ
ᲓᲐᲡᲫᲕᲠᲘᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲚᲔᲑᲘ;
ᲣᲮᲔᲨ ᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ
ᲓᲐᲣᲡᲕᲐᲛᲗ ᲪᲥᲕᲘᲢᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ.

—:—

ᲢᲠᲐᲛᲕᲐᲘᲪ ᲒᲐᲓᲐᲠᲔᲣᲚᲐ,
(ᲪᲠᲔᲛᲚᲘ ᲛᲓᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲗᲛᲐᲜᲘ),
ᲔᲮᲚᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ
ᲙᲝᲜᲓᲣᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲢᲛᲐᲜᲘ.

—:—

ᲣᲗᲣᲗᲣᲓ ᲨᲔᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲐ ,
ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲐᲛ ᲮᲐᲜᲐᲓ:
ᲒᲐᲛᲝᲭᲔᲓᲘᲚᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲗ
ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ-ᲥᲐᲠᲮᲜᲐ.

—:—

ᲕᲐᲮ, ᲛᲐᲨ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲓᲦᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲗ,
ᲠᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲙᲠᲐᲗ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ,
ᲒᲐᲤᲚᲐᲜᲒᲕᲐᲡ ᲛᲝᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡᲐ,—
ᲒᲣᲚᲘ ᲬᲐᲒᲕᲘᲕᲐ ᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲤᲚᲐᲜᲒᲕᲘᲡ, ᲮᲠᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ
ᲥᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲠᲝᲓᲘ ᲘᲪᲘᲐᲜ,
ᲔᲡ ᲪᲣᲓᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ,
ᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲜᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲑᲘᲫᲘᲐ.

—:—

ᲐᲠᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘ,
ᲒᲐᲛᲒᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲩᲮᲐᲕᲘᲚᲘ,
ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲭᲘᲐᲜᲣᲠᲔᲑᲐ,
ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲝ ᲑᲚᲐᲕᲘᲚᲘ.

—:—

ᲥᲐᲚᲘ ᲜᲐᲖᲘᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗ,
ᲡᲐᲜᲓᲝ, ᲒᲐᲛᲠᲯᲔ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ,
ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲡᲣᲡᲢᲣᲚ ᲓᲐᲡᲪᲮᲝᲡ
ᲛᲐᲜ ᲑᲠᲐᲖᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲮᲔᲗᲥᲘᲚᲘ,
ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲒᲐᲒᲘᲫᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲧᲕᲔᲚᲐ
ᲓᲐᲫᲘᲓᲒᲔᲡ ᲝᲠᲘᲒ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ
ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲝ, ᲓᲐᲰᲝᲩᲓᲘᲗ,
ᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲒᲕᲔᲡᲛᲘᲐᲜ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ.

ᲪᲮᲕᲘᲠᲘᲡᲒᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ.

საკურორტო მიმოხილვა

მუდამ უცვლელი ბახმარო

ყველაფერი ისევ ისეა, უცვლელად... ისევ ის ცათ აბჯენილი ნაძვები და ფიჭვები... ისევ ის ბახვის წყალი თავის ბეწვის ხიდით, მარდათ რომ მიჩხრიალებს კლდესა და კლდეს შუა... ისევ ის „ჩხოის კაკალსავით“ უსისტემოდ მიყრილ-მოყრილი თეთრი სახლები, ჩამოვარდნილი კარებით და უშუშო ფანჯრებით, უღუმელოთ უბუხროთ... ისევ ის ჯორკოები სკამების მაგიერ, რბილ ადგილსაც ქვად რომ მოგაჩვენებენ, თუ ზედ დაჯექი.

ისევ ის ყაყანი სახლის პატრონების, ისევ ის იშვიათი თავბრუდამხვევი „საკმეველის“ სუნი, ისევ ის, „ოჩერედი“ კარჩამოვარდნილ საპირფარეშოსთან, რომლიდანაც ისევ მუდარით იცქირებიან თვალები...

ყველაფერი ისევ ისეა, უცვლელად... თითქოს ხალხიც იგივეა, თითქოს იგივე დირექტორი, თითქოს იგივე ადმინისტრაცია; თითქოს იგივე „ეპო“... თითქოს ყველანი აქ არიან, ვინც [illegible]ოშან, შარშანწინ იმის წინ და კიდევ იმის წინ გინახავთ და „გიბედნიერებიათ“.

ისევ ის არევ-დარევა კოოპერატიულ სასადილოში, საქონლის ისევ ის ასორტიმენტი „ეპო“-ს სავაჭროებში: დუხები, პუდრები, მარაო და ბევრი ასეთი „პალაჭუკუნაი“... არც ერთი გრამი პირველი მოთხოვნილების საგანი, არც ერთი ბოთლი რძე, არც ერთი სულგუნი, არც ერთი წვეთი ნავთი.

ისევ ის კერძო ვაჭრები, რომელთაც, კლანჭებში ჩაუგდიათ მოაგარაკეები და კუდის რიკამდე ტყავს აძრობენ... ისევ ის პეკულიანტი ასათიანი, „მომარაგების კომისარს“ რომ ბობს. მცირე გამონაკლისს სძინავს უძახიან მისგან ჯიბე გათხელებული მოაგარაკეები.

ისევ ის თავგასული ჩალანდრები, დროის შოვნის ოსტატები, სადილად რომ უბოდიშოდ მოგიჯდებიან გვერდში. მუდამ უცვლელო ბახმაროკ, მშვიდობით უკვე გავშორდით „სომლიას“.

უხილავი შოვი

დიდებულია შოვი, დიდებულია ბუნება, დიდებულია მინერალური წყლები, კურზალი...

დიდებულიაო ასე ამბობს ჩემ რაჭველი მეგობარი. ისე მე ჯერ არ მინახავს. წელს უნდა მენახა კანონით და სამართალით. სპეციალურად, იშვიათათ მზადების შემდეგ გავემგზავრე კიდეც, მაგრამ გავეჩხირე ქუთაისში. ათი დღე დავყავი იქ, ამ პაპანაქება სიცხეში და ტარანასავით ჩამომხმარი გამოვბრუნდი ისევ უკან, რადგან „სოიუზტრანს“-ის მუშაკებს ნაცნობები არ დაელიათ ყველას პირველ რიგში გზავნიდნენ ავტომობილით, ვისაც მათთან თითო კვარტი დაელია, მოთმინება და ფული ერთად გამომელია და მშვიდობით შოვო! კარგი ხარო ამბობენ, ჯერ-ჯერობით კი [illegible]ავი ხარ.

წაღვერი

რა უშავს წაღვერს, მართალია ბინას ზაფხულში ვერ იშოვი, თუ ათასობით არ გაქვს ჯიბეში, მაგრამ სამაგიეროდ შემოდგომიდან დაწყებული სანამ გაზაფხულდებოდეს, რამდენიც გსურთ იმდენს იშოვით ჩრდილში და იაფად.

დასასვენებელი სახლში კარგია იმისთვის, ვინც ისვენებს, მაგრამ წელს უმეტესად მოუსვენარი ხალხი სჭარმისთვის მიჩენილ ოთახებში, მეტი ნაწილი ღამეებს ნაძვების ძირში ატარებს უძილოთ; [illegible]რავინ იფიქროს, რომ ნაძვების ძირში დამსვენებელი ვერ დაისვენებს, თუ მოინდომა და თუ მარტოა. მაგრამ დამსვენებლები წყვილ-წყვილად არიან და ამიტომ უჭირთ დასვენება.

წყალტუბო

წყალტუბომ ჩემს სიცოცხლეში წარუშლელი ხსოვნა დასტოვა. არ იკითხავ რით? მით, რომ არ ვიცოდი სად შემეყო ცხვირი, რომ პარკის მახლობლად მდგარი ფეხისადგილების სიმყრალეს თავბრუ არ დაესხა. აგრეთვე მით, რომ ბაღლინჯოებთან ბრძოლა ერთად ერთი გენერალური ამოცანა იყო ჩემთვის.

ცხვირსაც უშოვნე თავშესაფარი, ბაღლინჯოებიც ბევრი დავხოცე და ომ გადახდილი უვნებლად დავბრუნდი.

ქობულეთი

ქობულეთი წელს ყველას გაოცრჩენია მხედველობიდან. მაგრამ ის უებარი აგარაკია იმათთვის, ვისაც რაიმე მიზეზით ჭამის მადა გადავარდნილი აქვს, ან სოულებით არ საჭიროებს კვებას.

თქვენი მონამორჩილი ფიქრობს, რომ ქობულეთის კოოპერატიულ ორგანიზაციას წელს დიდი „მიღწევა“ ექნება: ბევრ გაღატაკებულ ჩარჩ-სპეკულიანტს მოათქმევინებს სულს, რამდენადაც მათ ჩაუგდო ხელში მოაგარაკეები. ისე რაც შეეხება ზღვას, არა უშავს ზოგჯერ დაწყნარებულია და ზოგჯერ ისე აღშფოთდება როგორც მე აღმაშფოთა მომარაგების საქმის მოუგვარებლობამ.

სეგეირ-ბენ-შეიხ.

თეატრის ამბები

რომ თავის რიგზე ჩამოვალაგო
საყურადღებო ამბები ჩვენდა,
აუცილებლად პირველ ადგილას
უნდა დაისვას

მუშკოპის წმენდა.

გამომზეურდა ხალხი, რიგ-რიგათ,
ზოგს გაუცია ნაცნობზე პალტო,
სხვადასხვა „საქმით“, სხვადასხვაფერი,
ზოგს კოსტუმები და ზოგს კი მანტო,
ზოგი ყოფილა ვაჭარი ძველი,
ზოგი მორწმუნე, ზოგი კი მღვდელი,
დღეს კი სახელი აქვთ მათ ნოქარის
ზოგსა ფუთობით მიქონდა ყველი,
ზოგს მურაბისთვის მუდამ შაქარი.
ზოგსა ყოლია თავისი „ნაშა“
„ნაშას“ ნაცნობი, ნაცნობს მოკეთე
და ყველასათვის გაუწევია
დახმარება და ძმური სიკეთე.
მათ საკადრისი ერგებათ ჯილდო
ამიტომ არ ღირს აქ ლაპარაკი
მხოლოდღა, როგორც კულტურის ცენტრი
უნდა ვახსენო მე

კულტურპარკი.

კუთხე ლამაზი და საოცნებო
გაშენებული მოვლილი, სუფთა,
დასვენება და გართობა არის
მუშებისათვის თითქმის სულ მუქთად,
მაგრამ ხულიგანთ თარეში აქაც
ჯერ კიდევ ისევ ხელს უშლის საქმეს,
დარდი არა აქვთ მცენარეების
თუნდ ფესვიანად სუყველა გახშეს.
მათაც რომ მალე მოეღოს ბოლო
საჭირო არის, არის დროული,
თუ მილიცია დაიცავს წესრიგს
ალბათ ხულიგნებს იგი მოუვლის.

მოდა ახალი.

დღეს „შემოვიდა“ აქაც „მოდაში“
ქაბა გაშლილი, ქაბა ფრიალა,
ეჯიბრებიან კარგად ჩაცმაში
ქეთოს ანეტა, ტასოს ციალა.

პ. ოიოლი.

ნიანგის საკბილო

ლიუსიკა ჭალია, მუშკოოკის თვალია!

„მუშკოოკ ს № 169 პურის დუქნის მოსამსახ. ქალი—ლიუსიკა მუშტრებს ხეშად ექცევა“.

ძიელი.

ეუოსა ვწონი და ვარიგებ
საქმეს ვშვები ამას,
და თუ ე ნმიმ გამაჯავრა
მუცელში ვკვრავ დანას.
დანას ბასრსა გალესილსა,
და ვუტირებ დედას,
სიტყვის შემობრუნებასაც
ვერვინ გამიბედავს!

ლაზათიანად, ხოშითა გაძღენ ნაჭურდალ ხორცითა!

„სოფ. გორისის კოლმ. თავმჯდომარემ გოგოლაძემ გამართა ლხინი და გაუმასპინძლდა ძმა-ბიჭებს ნაქურდალი ძროხის ხორცით“.

გოგოლიძემა გამართა
თვის ძმა-ბიჭებში ლხინია,
მთელი ორი დღე ღრეობდენ
ისე არ დაუძინიათ.
ისმოდა ცეკვა-თამაში,
სიმღერა გასაოცია,
და ნაქურდალი მაგიდებს
ეყარა ძროხის ხორცია.
სადღეგრძელონი ყანწებით
ურთერთში გადადიოდა,
ძროხის პატრონს კი ამ დროსა
შიმშილით კუჭი სტკიოდა.
ადგა აღმასკომს აცნობა
ქურდობის ეს ამბავია,
მაგრამ იქ ამგვარ წვრილმანზე
არ შეიწუხეს თავია,
ასე. ამგვარად ეს საქმე
აქამდე მიჩქმალულია,
პატრონი სამართალს ეძებს,
ძროხა შისანსლოლია!

გამგე კემულარიამ, საქმე არივ-დარია!

„ლაგოდეხის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში ძაღლი პატრონს ვერა ცნობს ისეთი უთავბოლობაა გამეფებული“.

კირპიჩნიკი

ჩ...ნი ფოსტისა საქმენი
ა ...ლ-დარეულია,
შესაფერისი პატრონი
იმას არა ყავს სრულიად.
გამგიდან მოყოლებული
არვინ არაფერს აკეთებს,
თვეობით ამგვიანდება
წერილებს, ჟურნალ-გაზეთებს.

სამკითხველო აქვს სახელი შიგ წიგნის არ ვართ მნახველი!

„ლაგოდეხის სამკითხველო მუდამ დაკეტილია, შიგ წიგნები არ მოიპოვება და ჟურნალ-გაზეთები. ამას ყურადღებას არავინ აქცევს“.

ზოიკო.

სამკითხველო გვაქვს,
(შენობა მარტო)
რომელშიც ხშირად
ჩამოდის წვიმა,
არ არის წიგნი,
ჟურნალ-გაზეთი
გამგეობახა
კი ღრმად სძინავს.
და გაგრძელდება
ეს ძილი დიდხანს
და უთავობა ...ეკვი არ არი,
ნიანგო თუ არ
მოგიხედე დროზე
და შენი კბილი
მათ არ გაჭკარი.

ექიმი ცოდნით აღჭრდილი მკლავაძე არის ნაგდვილი!

„სოფ. მაღლაკის საექიმო პუნქტის გამგე ექ. ჯვაოშვილი ავად მყოფებს ოანძოოა-ბინებით ისტუმრებს“.

იაქე.

პუნქტ... გამგეა—ეკი...
სახელოვანი, ქებული;
უხეში ყოფა-ქცევითა
ხალხი ჰყავს შეწუხებული.
ხშირად ეშლება ძარღვები
ყვირის და გააქვს ღრიალი,
ავადმყოფთ განსაკურნავად
აქვს მას მეთოდი ახალი.
მისი „რეცეპტი“ ცნობილი,
არი ლანძღვა და გინება,
მკლავაძის როლში გამოსვლაც
მან არა ერთხელ ინება.
მიმოდის მედიდურობით
და „კაცის“ ხურავს ქუდია,
ნიანგო! ამგვარ მავნებლებს
უნდა აუწვა კუდია!

ანალოგიაზრდა მსაჩვრეგი

ნახ. ფეიქრიშვილის.



— კაცო, ეს რა გიქნია, თავი რად გადაგიპარსავს?
— მაშ, რა მექნა! ცოლი ყოველდღე მერჩუ ბებოდა და თმებს მაგლეჯდა.

ნახ. არ. რაზმაძის

— რად ეყრებით ქმარს?
— სოფელში გაგზავნეს სამუშაოდ.

ნახ. მშვიდობაძის.

— ჩვენი გამგე ჩემზე ძალიან გაბოროტებულია.
— ახია შენზე; რატომ არ ჩამოეთხოვება მემანქანე ქალს? ხომ იცი, გამგე ეარშიყება მას!

ბ ო ლ დ ო რ ი

კეფას (ხონი) ვბეჭდავთ თქვენი ლექსის მხოლოდ ერთ ტაეპს:

„ქალებ' მუსაიფი რომ ქვთ
საღ[illegible]ა თუ [illegible]ინდ დილე,
შენ [illegible]ად გძინავს ფოსტი[illegible] [illegible]ამგევ
ჩიგოგიძე შენ ერმილე“

ჩვენ არ გვაკვირვებს, რომ ხონის საფოსტო განყოფილებაში უთავბოლობას ქ[illegible]ნდეს ადგილი, მაგრამ ამავე, დროს [illegible] **კეფაც** ვერ უნდა იყოს საიმედო მდგომარეობაში, რომ ასეთ მარგალიტ სტრიქონებს გაწერინებს — „საღამოა იგი თუ დილე“.

ვეშაპს (იქვე) ვიზიარებთ თქვენ მწუხარებას და ვბეჭდავთ თქვენი ლექსის შემდეგ ადგილს:

„გაქრა მოკლე კაბა
როგორც ძველი ბონი,
სული მიღონდება
გულს აწვება ქონი“.

ეს ცუდი ნიშანია, სულის მიღონება კიდევ არაფერი, მაგრამ თუ გულს ქონი აწვება — შესაძლებელია თქვენ ცუდი რამ მოგივიდეთ; ამიტომ ჩვენი რჩევა-დარიგება იქნება შემდეგი: სჭამეთ ტარანი, [illegible] კიტრი ეცადეთ გახდეთ, აგრეთვე ქალებზე და ლექსების წერაზე ფიქრს უსათუოდ თავი დაანებეთ, თუ გინდათ ცოტა კიდევ იცოცხლოთ.

ლენტოს (თელავი) თქვენ გვწერთ რომ თელავის სანიტ. კომისია ხვრინავს, რომ:

„თაგვები ცეკვენ „ჩარლსტონს“
ვირთხები „ოლუმზე“ დგანან,
ვერ [illegible]ედებით მ[illegible] ტოლს
ძვ[illegible] „გოროდოვებს“ გვანან“.

ჩარლსტონი ახლა ისე საყოველთაოდ გავრცელებულია, რომ ჩვენ არ გვაკვირვებს თაგვებმაც იცეკვონ იგი —რასაკვირველია თქვენი ხათრის გულისთვის, მაგრამ ეს ვერ გაგვიგია, როგორ თუ ვირთხები თაგვების „ოლუმზე“ დგანან, პირდაპირ წარმოუდგენელია, თაგვების მიერ ვირთხების ასე დამონება, თუმცა თქვენი ხათრისთვისაც ესეც შეიძლება ჩადინოს ვირთხებმა, რაც შეეხება, რომ ისინი „გოროდოვებს“ გვანან—ამას კი ვერ დავიჯერებთ, ეს რომ ასე იყოს, მაშინ თქვენ ნმათი შიშით ასეთ ლექსს ვერ დასწერდთ.

ფრთოსანს. (ქუთაისი) ვბეჭდავთ სანიმუშოთ თქვენი ლექსიდან: „საბრფოს“. ერთ ტაეპს:

„ცხელა, ვიწვი შენი ტრფობით
თავში სიცხე მიღიტინებს,
ჩემი ტანჯვა და წამება
შენ სრულებით არ გალონებს“.

შევდივართ თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ რა გაეწყობა, ძნელია როცა თქვენი ტანჯვა სატრფოს არაფერად მიაჩნია, უფრო სახიფათოა აგრეთვე „თავში სიცხე თუ გიღიტინებთ“, ამ ზაფხულში მით უმეტეს.

ალის. (ფოთი) თქვენი ფუტურისტული ლექსი ასე ბოლავდება:

„ფოთის სასადილოებში
გაუმართავთ როკვა ბუზებს,
საჭმლის თეფშში რად ხტებიან
ერთი კითხეთ ამ ტუტუცებს“.

ჩვენ ვერ ვიკისრებთ თქვენი სურვილის შესრულებას, კარგი იქნება, რომ თვითონ თქვენ კითხავდეთ ბუზებს თუ „რად ხტებიან საჭმლის თეფშში

ცილის წამება

ნახ. ქოქიაშვილის

ვირთხა (ნოქარს):— ცოტა მაინც დაფიქრდი! მთელი კოოპ[illegible] [illegible]ი შენ გასცალე, და საქონლის დანაკლისს კი მე მაბრალებთ!

ძ ღ ვ ნ ა დ

ქუთაისის ფოფერებს

ხაბარდა... დავით ვანაძე
მანქანას მოაგრიალებს
და თუ ბორბლებში მოიგდო
ლორებსაც აატყრიალებს.
იძახის: გაგსრესთ გაგწყვეტავთ,
არ მყავს არავინ ბატონი
დედას გიტირებთ სუყველას
მე თვით მაქვს ჩემი კანონი.
ნიანგო, ბევრი საქმე გაქვს
ვიცი ვერ სწვდები „ოჩერედს“
მაგრამ რას იზამ სჭირდება
როზგი ჩვენ თავხედ შოფერებს.

შავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნისტები

— ეს ფუნიკულერი ჩვენს პოლიტიკურ ხაზს მაგონებს. „ყველა გზა ერთია, გენერალურ ხაზს ცალ-ცალკე ორივე ვშორდებით, მაგრამ მალე ისევ ერთმანეთს ვუერთდებით!